დამტკიცებულია
სახ. კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს სხდომაზე
2018 წლის 3 აპრილს, ოქმი N7

კონსერვატორიაში საპროექტო განაცხადის შერჩევის წესი
კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ გამოცხადებული სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის ფარგლებში

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში საპროექტო განაცხადის შერჩევის წესი კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ გამოცხადებული სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის ფარგლებში არეგულირებს საპროექტო განაცხადის შერჩევის წესს, პირობებს, შეფასების კრიტერიუმებს, ასევე მონიტორინგის საკითხებს;
2. საპროექტო განაცხადის მიზანია:
   სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა, სახელმძღვანელოებისა და სპეციალური ლიტერატურის გამოცემის ხელშეწყობა, საგანმანათლებლო პროცესის სტანდარტიზაცია, სწავლებისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესება, თანამედროვე მოთხოვნებზე ორიენტირებული სასწავლო რესურსის შექმნა. სასწავლო რესურსი უნდა ეფუძნებოდეს სტუდენტის საჭიროებებს და უზრუნველყოფდეს სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. საპროექტო განაცხადი ფინანსდება კულტურისა და სპორტის სამინისტროს ბიუჯეტიდან;
4. საპროექტო განაცხადის საბოლოო შედეგი უნდა იყოს:
   ბეჭდური/ელექტრონული გამოცემა ან საგამომცემლო ფაილი (ამ შემთხვევაში კონსერვატორია ვალდებულია გამოსცეს აღნიშნული მასალა).

მუხლი 2. საპროექტო განაცხადის წარდგენის პირობები

1. საპროექტო განაცხადის წარდგენის უფლების მქონე სუბიექტები:
   ა) საპროექტო განაცხადის <u>**შემოტანა**</u> (პროექტის ხელმძღვანელობა) შეუძლია კონსერვატორიის სასწავლო ან/და სამეცნიერო პროცესში ჩართულ ყველა სუბიექტს,
   ბ) საპროექტო განაცხადის მოსაპოვებლად კონკურსში მონაწილეობა შესაძლებელია, როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად;
   ბ.ა) ჯგუფურად შემოტანილ განაცხადს ჰყავს ხელმძღვანელი და წევრები;
   ბ.ბ) პროექტის ხელმძღვანელობა შეუძლია კონსერვატორიის სასწავლო ან/და სამეცნიერო პროცესში ჩართულ ყველა სუბიექტს
   ბ.გ.) ჯგუფის წევრი შეიძლება არ იყოს კონსერვატორიის პერსონალი.
   გ) საპროექტო განაცხადის ხელმძღვანელობა და მონაწილეობა:
   გ.ა.) ერთსა და იმავე პირს არ შეუძლია ერთზე მეტი საპროექტო განაცხადის ხელმძღვანელობა,
   გ.ა.) ერთი საპროექტო განაცხადის ხემძღვანელს შეუძლია იყოს სხვა საპროექტო განაცხადის ჯგუფის მონაწილე,
   გ.ბ.) ერთსა და იმავე პირს არ შეუძლია ორზე მეტ საპროექტო განაცხადში მონაწილეობა.

მუხლი 3. ხანგრძლოვობა

1. დაწყება 2018 წლის 20 მაისი[1], დასრულება 2018 წლის 1 დეკემბერი
2. საპროექტო განაცხადის ბიუჯეტი არის 25 000 (ოცდახუთიათასი) ლარი.

მუხლი 4. საპროექტო განაცხადის წარდგენისთვის საჭირო დოკუმენტაცია

1. **საპროექტო განაცხადისათვის საჭიროა შემდეგი დოკუმენტაციის წარმოდგენა:**

   ა) პირადობის მოწმობა (მონაწილე ყველა პირმა);

   ბ) ცნობა სამუშაო ადგილიდან (მონაწილე ყველა პირმა);

   გ) CV (მონაწილე ყველა პირმა);
2. **საპროექტო განაცხადი;**

   ე) განაცხადი Word ფორმატში;

   ვ) ხარჯთაღრიცხვა Excel ფორმატში
3. **შესაბამისი მიმართულების რეკომენდაცია** (მიმართულების სხდომის ოქმის ამონაწერის სახით) საპროექტო განაცხადის შერჩევაში მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებით:

   ა) საპროექტო განაცხადის შინაარსიდან და მიზნებიდან გამომდინარე, მისი განხილვა უნდა მოხდეს შესაბამის მიმართულებაზე;

   ბ) ერთ ან მეტ მიმართულებასთან საპროექტო განაცხადის რელევანტურობის შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი იღებს გადაწყვეტილებას მიმართულებების გაერთიანებული სხდომის შესახებ.

მუხლი 5. საპროექტო განაცხადის ადმინისტრირება

1. 2018 წლის 3 აპრილი - **საპროექტო განაცხადის შერჩევის პირობების** გამოცხადება;
2. 2018 წლის 4 აპრილი და 12 აპრილი - ჯგუფური კონსულტაციები; 11:00 აუდ 425
3. 2018 წლის 13 აპრილი - შეკითხვების გამოგზავნის ბოლო ვადა შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე science@tsc.edu.ge
4. სავალდებულოა საპროექტო განაცხადის ბეჭდური და ელექტრონული რეგისტრაცია

   ა) 2018 წლის 29 აპრილი, 16:00 სთ - საპროექტო განაცხადის და სრული დოკუმენტაციის ელექტრონული რეგისტრაციის ბოლო ვადა. საპროექტო განაცხადის ელექტრონული რეგისტრაციისთვის აუცილებელია **<u>საპროექტო განაცხადის და სრული დოკუმენტაციის</u>** გადაგზავნა ელექტრონულ მისამართზე: science@tsc.edu.ge ;

   ბ) 2018 წლის 29 აპრილის 16:00 საათი - საპროექტო განაცხადის და სრული დოკუმენტაციის კონსერვატორიის კანცელარიაში რეგისტრაციის ბოლო ვადა;

5. **<u>რეგისტრაციის ერთ-ერთი ფორმის (ელექტრონული ან ბეჭდური) არ არსებობის შემთხვევაში საპროექტო განაცხადი მოიხსნება განხილვიდან</u>**
6. 2018 წლის 30 აპრილი რეგისტრირებული საპროექტო განაცხადის/ების ტექნიკური შეფასება

---

[1] პროექტის დაწყების თარიღი შეიძლება შეიცვალოს და ის განისაზღვრება კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაფინანსების დაწყებასთან დაკავშირებული ვადებით.

7. 2018 წლის 1 მაისი საკონკურსო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული ტექნიკური წუნის აღმოფხვრის ბოლო ვადა
8. 2018 წლის 4 მაისი - რეგისტრირებული საპროექტო განავხადის შერჩევის პირობებთან და მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა, დადგენილი პირობების დაცვით რეგისტრირებული პროექტების შეფასება, შერჩევა კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს მიერ და საპროექტო განაცხადის შერჩევის შედეგების გამოქვეყნება;
9. 2018 წლის 7 მაისი[2] - გამარჯვებული საპროექტო განაცხადის/ების ავტორთან/ებთან ხელშეკრულებების გაფორმება.

მუხლი 7. საპროექტო განაცხადის შეფასების კრიტერიუმები.

1. საპროექტო განაცხადის შეფასების კრიტერიუმებია:

ა) **საპროექტო განაცხადის** შინაარსის სასწავლო-სამეცნიერო ღირებულება, მისი შესაბამისობა სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალიწინებულ სწავლის შედეგებთან, ძირითად და არჩევით სასწავლო კურსებთან, ძირითად და ზოგადმუსიკალურ დისციპლინებთან

ბ) **საპროექტო განაცხადის** გამოყენებადობა და მნიშვნელობა კონსერვატორიის სასწავლო გარემოსთვის

გ) **საპროექტო განაცხადის** მონაწილის/ების კვალიფიკაცია, კომპეტენცია, შესაბამისი კურსის წაყვანის გამოცდილება

დ) **საპროექტო განაცხადის** მენეჯმენტი და განხორციელებადობა, გეგმა-გრაფიკის შესაბამისობა მიზნებთან

ე) **საპროექტო განაცხადის** ბიუჯეტი და ბიუჯეტის დასაბუთების შესაბამისობა პროექტის მიზნებთან და ამოცანებთან

2. საპროექტო განაცხადის შეფასების ფორმა და ქულათა განაწილება

1. საპროექტო განაცხადი ფასდება ღია კენჭისყრით
2. თითოეული შეფასების კრიტერიუმები ფასდება 0-დან 3 ქულამდე

ა) 3- სრულად შეესაბამება

ბ) 2 - მეტწილად შეესაბამება

გ) 1 - ნაწილობრივ შეესაბამება

დ) 0 - არ შეესაბამება

3. ქულების საერთო რაოდენობით რანჟირდება საპროექტო განაცხადები
4. ერთნაირი ჯამური ქულების დაგროვების შემთვევაში უპირატესობა ენიჭება საპროექტო განაცხადის აქტუალობას, მის მნიშვნელობას სასწავლო გარემოსთვის

მუხლი 8. საპროექტო განაცხადის შეფასება, ხელშეკრულებების გაფორმება, ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგი

1. **ტექნიკური შეფასება**

ა) რეგისტრირებული საპროექტო განაცხადის/ების ტექნიკური შესაბამისობის დადგენა ხორციელდება სამეცნიერო დეპარტამენტის მიერ

[2] ხელშეკრულებების გაფორმების თარიღი შეიძლება შეიცვალოს და ის განისაზღვრება კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაფინანსების დაწყებასთან დაკავშირებული ვადებით

2. საპროექტო განაცხადის/ების შერჩევა ხორციელდება კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს მიერ შეფასების თითოეულ კრიტერიუმზე ღია კენჭისყრით. სხდომაში/ებში და განხილვაში/ებში მონაწილეობის უფლება აქვთ ფაკულტეტის საბჭოს სტუდენტებს სრული შემადგენლობით და დეკანის მიერ წარდგენილ დოქტორანტებს ხმის უფლების გარეშე;
3. კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს წევრს არ აქვს საპროექტო განაცხადის შემოტანის უფლება;
4. გამარჯვებული საპროექტო განაცხადის ხელმძღვანელთან/წევრებთან ხელშეკრულებას დებს კონსერვატორიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;
5. ხელშეკრულების მონიტორინგი ხორციელდება სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 24 სექტემბრის #1 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საგამომცემლო საქმიანობის წესი“-ს მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“, „ბ“, „დ“, „ე“, „ვ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, რელევანტურ მიმართულებაზე ნაშრომის რეცენზირებით

მუხლი 8. დამატებითი სავალდებულო მოთხოვნები საპროექტო განაცხადის მიმართ

1. გამარჯვებულ საპროექტო განაცხადზე/ებზე საავტორო უფლება ეკუთვნის ავტორს და კონსერვატორიას;
2. გამარჯვებულ საპროექტო განაცხადზე/ებზე ვრცელდება სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 24 სექტემბრის №1 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საგამომცემლო საქმიანობის წესი“